ოზურგეთელ თამუნა შავაძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ უკანავაში (სოფელ მთისპირის თემი) 33 წლის თამუნა შავაძეს დახმარება ჭირდება.

თურქეთში დაგეგმილია კვლევები და სარეაბილიტაციო კურსი, რომლის ღირებულებაა 22 000 ამერიკული დოლარი ჯდება.

თამუნა შავაძე: –„წლებია ვარ ეტლით მოსარგებლე. ახლა მაქვს შანსები, რომ ხელით შევძლო საყვარელი საქმის გაკეთება. ამისთვის 22 000 ამერიკული დოლარი არის საჭირო. ახლახან მომივიდა ჯანდაცვის სამინისტროდან პასუხი, რომ 10 000 დოლარით მოხდება ჩემი კვლევების და სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება, მაგრამ თურქ-ეთის ერთ-ერთ კლინიკაში სრული კურსისთვის დამატებით მჭირდება 12 000 დოლარი.

მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, ვარ ოთხივე კიდურით პარალიზებული (მოჭრილი ხის დაცემის შედეგად). მოტეხილი მქონდა კისერი, კერძოდ V და VI მალა, ქუთაისში ჩატარებული ოპერაციის შედეგად, დღესდღეობით ცოცხალი ვარ. მის შემდეგ ჩავიტარე რეაბილიტაცია უკრაინაში, რამაც რეზულტატი გამიუმჯობესა. ავამოძრავე ხელები, თუმცა, მტევნებს ვერ ვხმარობ, ამიტომ ვწერ წერილს მეგობრის დახმარებით. უკანასკნელ წლებში თურქეთში ჩავიტარე გამოკვლევები, სადაც დამისვეს დიაგნოზი - ჩემი ავადმყოფობა განკურნებადია. 6 თვის უკან, თბილისში, წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის კლინიკაში ჩავიტარე ღეროვანი უჯრედის გადანერგვა, რის შემდეგაც ჩემი მდგომარეობა გაუმჯობესდა და მგრძნობელობა წამოვიდა.

და ბოლოს, თავს არ მოგაბეზრებთ ჩემი ისტორიით, ჩემი ოჯახი უკვე უძლურია ჩემი გამოჯანმრთელებისთვის ბრძოლაში. ამ ხნის განმავლობაში, რაც შეეძლოთ ყველაფერი ჩემთვის გაიღეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. უმორჩილესად გთხოვთ, დამეხმაროთ. მჯერა თქვენი გულისხმიერებისა და გვერდში დგომისა. ყველას მადლობელი ვარ ვინც აქამდე დამეხმარება და ვინც ახლა ისევ აპირებს ჩემთვის სიკეთის გაკეთებას.“

ვისაც სურვილი აქვს, თამუნა შავაძის სახელზე „საქართველოს ბანკში“ გახსნილია ანგარიშის ნომერი და შეუძლიათ ნებისმიერ პირს დაეხმაროს მას.

მიმღები ბანკი:
სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“:
ბანკის კოდი: **BAGAGE22,**
მიმღების დასახელება:
შავაძე თამარ;
მიმღების ანგარიშის ნომერი:
GE77BG0000000318014700

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 7 (10344) 17 თებერვალი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

ვულოცავთ!

იური ლომაძე –ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია



ალიონი. იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოზურგეთელმა **იური ლომაძემ** 72 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი აიღო. იგი ფინალში გამოცდილ გერმანელ მეტოქესთან 2: 6 დამარცხდა.

იური ლომაძემ მეოთხედფინალში ბრწყინვალედ შესრულებული ხუთქულიანი გდებით სუფთად დაამარცხა ხორვატი ეტლინგერი და ნახევარფინალში გავიდა.

ნახევარფინალში კი მან თურქ სელჩუკ ჩანს სძლია.

ვულოცავთ იური ლომაძის მწვრთნელებს ძმებს ვალერი და ზურაბ ზურაბიანებს მათი აღზრდილის ამ წარმატებას.

იკითხეთ გაზეთი „ალიონი“
საცალო ფასი – 60 თეთრი
ხელმოწერა:
6 თვით – 15 ლარი
ერთი წლით – 30 ლარი

„სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა ხალხზე უკეთ არავის შეუძლია“

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

გასულ ხუთშაბათს იგი ძიმითის ნასაკირალის, ზემო ძიმითის, ქვემო ძიმითის, ნაგომრის, ჟანაურის, მაღალი ეწერის, შუაისნარის მოსახლეობას შეხვდა, ადგილობრივებს პროგრამის ეტაპების შესახებ ინფორმაცია გააცნო და მათი პრიორიტეტები მოინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამინდი იყო, სოფელ ძიმითის კულტურის სახლში ათეულობით აქაურმა მოიყარა თავი.

–როცა ერთმენეთს, ნახულობთ, მსჯელობთ, სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა ხალხზე უკეთ არავის შეუძლია – ასე დაიწყო შეხვედრა ოზურგეთის მერმა.

–გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სოფელში სპეციალური კონსტრუქციით სპორტდარბაზის შენობა დაიდგა. ვერ მოეწრო დასრულება და იგი ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა. თქვენი თხოვნის საფუძველზე ჩვენ ეს შენობა მუნიციპალიტეტის ბალანსზე დავაბრუნეთ. გვინდა მას რეკონსტრუქცია გავუკეთოთ, რაშიც არასამთავრო ორგანიზაციები დაგვეხმარებიან. შემდეგ კოოპერატივის ან სხვა ფორმით გავხსნით ხილის მიმღებ პუნქტს. აქაურ ხილს (ვაშლი, ტყემალი) დაფნას, წაბლს, ყურძენს ჩაბარებთ. მიმღები პუნქტი ხილს – ანასეულის სპირტის ქარხანას, ხოლო ყურძენს –სოფელ ასკანაში „როიალ ასკანას“–თქვა მერმა.

შარაშენიძემ კურორტ ნასაკირალი სამკურნალო წყლების პოტენციალის აღდგენაზეც ესაუბრა აქაურებს.

ძიმითელმა **ნათელა სალუქვაძემ** მდინარე სუფის ხეობის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე და საყანე ფართობების წაღებაზე და ნაპირდამცავი სამუშაოების აუცილებლობზე ისაუბრა.

ასევე დიდი გულისტკივილით აღნიშნეს მდინარე სუფსისა და გუბეზეულის ხეობებში გახსნილი კარიერებიდან ბუნებაზე მიყენებული ზიანის შესახებ.

–რას დაამსგავსეს ძიმითი -ნასაკირალის გზის მონაკვეთი. კი შეაჩერებინეთ მუშაობა, მაგრამ დღით არ მუშაობენ და ღამით გააქვთ ინერტული მასალა. ერთი მანქანა ქვიშა რომ აიღო ხეობაში, მაშინვე გარემოს დაცვის თანამშრომლები დაგადგება თავს და დაგაჯარიმებენ. –აღნიშნეს ძიმითელებმა

–.იძახიან თვითმმართველობა, მაგრამ ბოთლის ან პასტის ყიდვა რომ გინდოდეს, თბილისს უნდა მიმართო. შარშან სოფლის გზები რომ მოგვეხრეშა 200 ათასი ლარის ინერტული მასალა შევიძინეთ –აღნიშნა კონსტანტინე შარაშენიძემ.

შეხვედრა საინტერესო გამოდგა იმითაც, რომ ძიმითელებმა ძალიან ბევრ პრობლემაზე ისაუბრეს.

აქტიურობდნენ ძიმითის ნასაკირალის მცხოვრებლები.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **ზურაბ ნასარაია** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრებს განაგრძობენ.

გასულ სამშაბათდ ლიხაურისა და ჭანიეთის ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობამ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები შეარჩია.

ლიხაურში (კვაჭალათი, ნიაბაური) ადგილობრივებმა საბავშვო ბაღში სპეციალური მასწავლებლის ოთახის მოწყობა, 9 აპრილის სკვერის შემოღობვა და მემორიალის აღდგენა, სოფლის ცენტრში კი სველი წერტილის მოწყობა, ასევე გარე განათებისა და სანიაღვრე არხების გაკეთება გადაწყვიტეს. სანიაღვრე არხები აჭის უბანშიც მოეწყობა. მოსახლეობამ აქაც უპრატესობა საბავშვო ბაღში სპეციალური მასწავლებლის ოთახის მოწყობას მიანიჭა.

რაც შეეხება სოფელ ჭანიეთს (ვაშტიალი), ადგილობრივებმა ცენტრში გარე განათების მოწყობა დაგეგმეს, ხოლო მე-3 ბრიგადის ტერიტორიაზე ხიდის გაკეთება. გარე განათება ასევე ქაქუთშიც გადაწყდა, სადაც აღნიშნული პროგრამით შიდა გზების რეაბილიტაცია ჩატარდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი საქმის წარმოების ახალ სისტემაზე გადადის

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვის პროექტის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე მერიის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელ პირებთან ერთად მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (**MSDA**) თავმჯდომარეს ვახტანგ ჭედიშვილს და პროექტის კოორდინატორს თემურ კაკრიაშვილს შეხვდა.

პროექტის ფარგლებში, შეიქმნება ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტი და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (**MSDA**) ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, რომელიც სამ მიმართულებას - ერთიანი ელექტრონული საქმის წარმოების, ელექტრონული განცხადებებისა და გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემებს გააერთიანებს.

პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (**MSDA**) შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

პროექტის განხორციელების შედეგად მოქალაქეებს კიდევ უფრო გაუმარტივდებათ მუნიციპალურ სერვისებზე წვდომა, რაც თავის მხრივ გულისხმობს მოქალაქეებისთვის ნაკლებ ბიუროკრატიას, მეტ გამჭვირვალობას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

რეგიონებში განხორციელებული პროექტების ანგარიში წარადგინეს

რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტრომ რეგიონების განვითარების მიზნით არსებული ფონდებითა და პროგრამებით დაფინანსებული პროექტების 2019 წლის ანგარიში წარადგინა.

ვიცე-პრემიერის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მაია ცქიტიშვილის თქმით, რეგიონების განვითარებისათვის გასულ წელს უპრეცენდენტო მასშტაბის სამუშაო ჩატარდა და 402 მილიონი ლარის 6774 პროექტი დაფინანსდა.

–„ესაა პროექტები, რომელსაც უშუალოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით. მხოლოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელიც გასულ წელს განახლდა, 4000-ზე მეტი პროექტი შესრულდა, ანუ თითოეულ დასახლებაში სულ მცირე 1 პროექტი მაინც გაკეთდა. გარდა ამისა, 2019 წელს ჩვენ დავიწყეთ სკოლების ინფრასტრუქტურული განახლება და რეგიონებს პირველად ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ 600-ზე მეტი სკოლის მცირე რეაბილიტაცია თავად განეხორციელებინათ, რისთვისაც 40 მლნ ლარის დაფინანსება გამოიყო. ამის გარდა, ჩვენ გქონდა ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ასევე სიახლე იყო მუნიციპალიტეტებისთვის, ესაა ამბულატორიების და სასწრაფო დახმარების ცენტრების მშენებლობა და ამ პროგრამის ფარგლებშიც 300-ზე მეტი ამბულატორიის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო. მათი უმეტესი ნაწილი უკვე დასრულდა. ასევე, 41 სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობა დაიწყო რეგიონებში და 2020 წლის განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტრო მოახდენს ამ ობიექტების აღჭურვას. ყველა ეს პროექტი ემსახურება ჩვენს რეგიონებში იმ საბაზისო ინფრასტრუქტურის განახლებას, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს ბევრ ინვესტიციას, ესაა გზები, ლოკალური წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა, გარე განათება, პარკები, სკვერები, მცირე სპორტული ნაგებობები და ა.შ.,“ – აღნიშნა **მაია ცქიტიშვილმა.**

მინისტრის თქმით, რეგიონული პროექტების შესრულებაში 1000-ზე მეტი კომპანია და 15 000 – ზე მეტი ადამიანი იყო ჩართული. მან ასევე ხაზი გაუსვა პროექტების მართვაში დანერგილ სისტემურ ცვლილებებს, რამაც შედეგების გაუმჯობესება განაპირობა. საუბარია სატენდერო დოკუმენტაციის ოპტიმიზაცია-სტანდარტიზაციასა და საპროექტო ტენდერების კონსოლიდაციაზე კატეგორიების მიხედვით, ასევე – კომპანიებისათვის მოთხოვნების გამარტივებასა და პროექტების წინასწარი დაგეგმვაზე.

პრეზენტაციას გურიის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე აკაკი შენგელია, მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველო-ბების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მერმა სოფელ ნაგომარში მარგველიანების ოჯახის დახმარება აღუთქვა

ალიონი. სოფელ ნაგომარში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, სოციალურად დაუცველი მარგველიანების საცხოვრებელი სახლი მოინახულა.

– 8 სული ვცხოვრობთ ამ ავარიულ სახლში. აქედან 4 ბავშვია. ახალი სახლის საძირკველი ჩავასხით. ხელისუფლებამ ნაწილი ბეტონის ბლოკი მოგვცა. მაგრამ ვეღარ გავაგრძელეთ.–აღნიშნა **გივი მარგველიანმა**

მერმა აღნიშნულ ოჯახს სახლის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალით დახმარება აღუთქვა.

„სოკარის“ ფეიაპარატებზე მომხმარებლებს გადასახადის გადახდა აღარ შეეძლებათ

ალიონი. ქ. ოზურგეთში „სოკარის“ ფეიპარატებზე ბუნებრივი აირის მომხმარებლები საკომისიო გადასახადის გარეშე თანხას ვეღარ ჩარიცხავენ. საქმე იმშია, რომ აპარატები ქ. თბილისში წაიღეს . ამის შესახებ რედაქციას გასულ პარასკევს ოზურგეთელმა ვ. მ-მ აცნობა.

*–რა მოხდა, „სოკარს“ კარგი სერვისი ჰქონდა მომხმარებლებისთვის. შეგეძლო მათ ფეიპარატებზე ბუნებრივი აირის გადასახადი საკომისიოს გარეშე ჩაგერიცხა. კარგი შელავათი იყო. ახლა რა მოხდა, გავმდიდრდით? –*მოგვმართა პენსიონერმა ქალბატონმა.

*– არ დამხვდა „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურში ფეიპარატი, არც „სოკარის“კანტორაში. ბანკში გადაიხადეო – მითხრეს. მივედი და 1,64 ლარი საკომისიო გადამახდეს. ალბათ ასეა მანდ, მაგრამ „სოკარის“ პოზიცია არასწორია –*გვითხრა კე-მ.

ჩვენ აღნიშნულის შესახებ კითხვა დავუსვით ოზურგეთში „სოკარის“ ბენზინგასამართი სადგურის მენეჯერს **ბესო ჯინჭარაძეს.**

*–ვერაფერს გეტყვით. დარეკეს თბილისიდან, ფეიპარატს მოიკითხავენ და წაიღებენო. წაიღეს. ვიცი „საქართველოს ბანკს“ აქვს საკომისიოს გარეშე ბუნებრივი აირის გადასახადის ინტერნეტით გადახდის სერვისი. სხვას ვერაფერს გეტყვით –*გვითხრა ბესო ჯინჭარაძემ.

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი დაამტკიცეს

14 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გარდა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, ა(ა)იპ-ების და შპს-ების მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენისა, კიდევ 4 საკითხზე იმსჯელებს.

ესენია:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების მიღება. ნორმატიული აქტის პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა, სხდომაზე კი მის მიღებას ეყრება კენჭი.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხია. განკარგულების პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3724 კვმ და 502 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ, საკუთრებაში სახელმწიფოს, შემდგომში შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-სთვის გადაცემას ეხება.

2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების ასახვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე. სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში ზრდა 7 431 349 ლარით იგეგმება.

„იაპონიის საელჩო საქართველოში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ განკარგულების მიღება დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხია. განკარგულების პროექტი ერთი ერთეული მცირეგაბარიტიანი ნაგავმზიდის და 20 ერთეული სანაგვე ურნის შეძენის მიზნით, იაპონიის საელჩოსგან გრანტის მიღებას ეხება. საკრებულო გრანტის გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ განკარგულებას დაამტკიცებს.

ბიუროომ იურიდიულ საკითხთა კომისიას, საინიციატივო ჯგუფის მიერ საკრებულოში ინიცირებული დადგენილების პროექტის შესწავლა, დასკვნის მომზადების მიზნით დაავალა. დადგენილების პროექტი იმ დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცებას ეხება, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება. (ქ. ოზურგეთი, დაბა ლაითური, ნასაკირალი). საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციების ,საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირისა და გურიის ახალგაზრდული რესურცენტრის წარმომადგნელებმა ბიუროს წევრებს წარუდგინეს. დადგენილების მიღების მიზანი კი დასახლებებში საერთო კრების ამოქმედებაა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დღეს 10:00 საათზე დაიწყება.

„სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა ხალხზე უკეთ არავის შეუძლია“

–წყლის მილები დასკდა, აქედან 4 ბავშვი დადის სკოლაში, გზა არ ვარგა და მიკროავტობუსი ვერ ამოდის – განაცხადა **ირინე ქარქაშაძემ.**

–წყალი არც ფაფასკურში გვაქვს რიგ ოჯახებს..

–თირი, იქ გვაქვს წყალი? –თანასოფლელების წუხილს **მაია მეგრელიშვილი** შეუერთდა.

–4-5 წლის წინ წყლის ქსელი რომ გაიყვანეს, ქვედა ძიმითში 12 ოჯახი დაგვტოვეს –თქვა ო**თარ სეფერთელაძემ.**

წყლის თემას ბეტონის გზების დაგების მოთხოვნები მოჰყვა. ნასაკირალი დასახლებაში 8 ოჯახი ბეტონის გზის დაგებას ითხოვს მათ უბანში (გელა ბერიძე);

–2010 წელს მე-13 ბრიგადის ტერიტორიაზე200 მეტრი ბეტონის გზა უხარისხოდ დააგეს. არ ჰქონდა მავთულბადე და დაინგრა. 120 ოჯახი დადის ამ გზაზე. იქნებ დავაგოთ –თქვა ოთარ ტუღუშმა.

ძიმითელები ასევე ფაფასკურში საყანე ფართობების შემოღობვაში ითხოვდნენ სოფლის პროგრამის თანხის ნაწილის გამოყენებას.

–წყლის პრობლემის მოგვარებაზე რამდენიმე წელია ვმუშაობთ. ბევრ ოჯახს მიეწოდება წყალი. რამდენიმე უბანში არის პრობლემები. კოხაში 4 ოჯახი უწლოდაა დარჩენილი. ვალიკო ცინცაძის ეზოში 25-ტონიანი წლის ავზი დაზიანებულია და წყალი იკარგება. საჭიროა ახალი, 2-10 ტონიანი ვაზი, რაც მოსახლეობაზე მიწოდებული წყლის დებეტს გაზრდის. აშენდა კულტურის სახლი, 250 ათასი ლარი დაიხარჯა, მაგრამ შენობაში არაა წყალი და არც შემოუღობავთ –აღნიშნა მაჟორიტარმა დეპუტატმა **ტიტე მგელაძემ.**

თანასოფლელების წინაშე მოკრძალებით გამოვიდა საბავშვო ბაღის მენეჯერი **ნაზიბროლა შენგელია** და ბაღის საჭირეობისათვის 5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო სოფლის კლუბის გამგე **ნათელა ხინთიბიძემ** კი შენობაში წყლის შეყვანა ითხოვეს .

–კარგი საქმეა, სოფელში ხილის მიმღები გაიხსნება. მეპაიეთა ქონება იყო და სოფელმა შეინახა. კარგია, რომ ეკონომიკის სამინისტრომ იგი დაგვიბრუნა – აღნიშნა სოფლის ყოფილმა გამგებელმა **შოთა თოხაძემ.**

–თქვენი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას ვეცდებით. ამას სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხა, 76 ათასი ლარი არ ეყოფა, მაგრამ მუნიციპალიტეტი გაკათებს. იმედია, როგორც სხვა სოფლებში მოსახლეობა აქტიურად ჩაერთვება ბეტონის გზების დაგების სამუშაოებში, რომ გამოყოფილი თანხით მეტი სამუშაო შევასრულოთ, შარშან ჩვენ ასეთი მიდგომით 43 კილომეტრი გზა დავაგეთ მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებში. ქვა-ღორღის მომპოვებლებზე წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ლიცენზიები უნდა გასცეს სოფლის მოსახლეობის თანხმობით და სარგებელიც ნახოს. თუ სოფელი სარგებელას არ ნახულობს, ზაინი რატომ უნდა მოგაყენონ –განაცხადა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

ძიმითის ნასაკირალის, ზემო ძიმითის, ქვემო ძიმითის მოსახლეობა სოფლის ცენტრის კეთილმოწყობას, შიდა გზების რეაბილიტაციას, საბავშვო ბაღის რეაბილიტაციასა და ინვენტარის შეძენაზე შეჯერდა.

* * *

– ერთადერთი სოფელია ნაგომარი, სადაც სოფლის უბნებში, გზებზე განათება არ გვაქვს. თუ მხარს დაუჭერთ ჩემს წინადადებას კარგი იქნება – მიმართა თანასოფლელებს **ნოდარ წიქარიძემ.**

–განათება კარგია, მაგრამ კალოშებით რომ დავდივარ ვერ ხედავ? ბეტონის გზები დავაგოთ– შეეპასუხა წიქარიძეს თანასოფელი **პროკობი კოპლატაძე.**

–ვეთანხმები პროკობის. ბეტონის გზა გვინდა ჟანაურაში, ჩვენს უბანში –მოითხოვა **მანანა დათუნაიშვილმა.**

–ჩვენი ყანები რომ იტბორება მდინარე ყურეფაზე გავაკეთოთ დამბა –ითხოვა პედაგოგმა **მზია ანდღულაძემ.**

–საბავშვო ბაღი ადმინისტრაციულ შენობაშია. ბავშვები ცუდ პირობებში გვყავს. გამწოვი არის, მაგრამ ვენტილაცია არ მუშაობს. წყლის ჟოლუბი დაზიანებულია და კედელს აზიანებს. ეზო ცუდადაა შემოღობილი და პირუტყვი ჩამოდის.–აღნიშნა საბავშვო ბაღის მენეჯერმა **ინგა სიორიძემ.**

პრობლემა სოფლის ამბულატორიასაც აქვს. ამის შესახებ ექიმმა **ოლეგ ტვილდიანმა** აღნიშნა.

ამ სოფლისთვის გამოყოფილი 92 ათასი ლარით ნაგომარის, ჟანაურის, მაღალი ეწერის, შუაღინარის მოსახლეობამ საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ამბულატორიის წყლის სისტემის რეაბილიტაციასა და გარე განათების სისტემის მოწყობაზე მიიღო გადაწყვეტილება.

ოზურგეთის მერი სოფელ ნატანების მოსახლეობას შეხვდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს.

გასულ პარასკევს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ნატანების ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობამ 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები შეარჩია. აღნიშნული პროგრამა მოქალაქეთა თანაჩართულობით ხორციელდება და მიზნად ისახავს საერთო გადაწყვეტილების შედეგად პრიორიტეტული პროექტების გამოვლენას.

ზემო ნატანებში ადგილობრივებმა სტადიონის მოწყობა და შიდა გზების მოწესრიგება გადაწყვიტეს, ხოლო ქვემო ნატანებში მოსაცდელების მოწყობა, შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება. შეკვეთილში კი მოსახლეობამ უპირატესობა რკინიგზის სადგურთან ცენტრის კეთილმოწყობას მიანიჭა.

უწყლობის კვირეული ანასეულში

ალიონი. ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ანასეულში უწყლობის კვირეული რომ მიმდინარეობს, ეს უტყუარია. კვირეულში უკლებლივ მონაწილეობენ როგორც მრავალსართულიანი კორპუსების, ისე ინდივიდუალური სახლების მცხოვრებლები, ასევე აქ მდებარე სამეცნიერო დაწესებულებებისა და საჯარო სკოლის წარმომადგენლები – მეცნიერები, მასწავლებლები, მოსწავლეები, ტექნიკური პერსონალი. კვირეულიო, ამბობენ, თორემ ეს სანიტარიულად და ეპიდემოლოგიურად საშიში პროცესი შესაძლებელია მეტ ხანსაც გაგრძელდეს, მაგალითად, ახალი წყალსადენის მშენებლობის დამთავრებამდე. მასხარაობენ კიდეც, ანასეულელები 35-წლიან საველე ცდებს უძლებდნენ და დიდი საქმე ერთი-ორი თვით უწყლობა მოითმინონ. იმასაც მოვკარით ყური, ქალაქ ოზურგეთში პამპერსის ბიზნესს აპირებენ და ეს საშური საქმე ანასეულიდან იწყებაო, მართალია ნეტავ? არავინ ჩანს განმკითხავი.

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ზამთარში დათვს უნდა ეძინოს და არა ხელისუფლებას, იქნებ ვინმემ გამოაღვიძოს და ყურში ჩასძახოს: ანასეულში წყალი არ არის, წყალი!

14 თებერვალი 2020 წელი, ანასეული.

აღვადგინოთ ქართული დაფნა

დაფნის პროდუქციაზე საექსპორტო მოთხოვნილების გაზრდამ ფერმერებს, ცალკეულ კომპანიებს, კერძო მოსახლეობას ამ კულტურისადმი სერიოზული ინტერესი გაუჩინა, შესაბამისად გაიზარდა მომართვიანობა, რათა დაფნის კულტურა შეტანილი იქნას „დანერგე მომავლის“ მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ჩამონათვალში.

2017 წელს ა(ა)იპ ექსპორტის განვითარების ასოციაციის მიერ **SAID-/REAP-**ის დავალებით ჩატარებული კვლევა-ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც მოიცავს საქართველოში დაფნის წარმოების არსებულ და პოტენციურ მოცულობებს, ასევე რეალურად მისაღწევ ხარისხის სტანდარტებს და საექსპორტო შესაძლებლობებს.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოში აღრიცხულია 1500 ჰექტარამდე დაფნის ერთეული ხეები, საიდანაც საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე 3-დან 5 ტონას უდრის. მთლიანი წლიური მოცულობა შეადგენს 4-5 ათას ტონა დაფნის გამომშრალ ფოთოლს. საქართველოში მოქმედი დაფნის მწარმოებელი კომპანიები ნედლეულს უმეტესად მცირე საკარმიდამო ნაკვეთებიდან იძენენ, რომელთაგან თითოეულს საშუალოდ 2.5 ტონა დაფნის ნედლი ფოთლის (თავისი ნედლი ღეროებით) მიწოდება შეუძლია. დაახლოებით 5 კგ ღეროიანი ნედლი ფოთოლია საჭიროა 1 კგ გამომშრალი დაფნის ფოთლის საწარმოებლად.

ამჟამად საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კომპანიას აქვს საკუთარი დაფნის ფოთლის პლანტაცია, შპს „ქართული დაფნა“ ფლობს 5 ჰა დაფნის სამრეწველო პლანტაციას, შპს „დაფნა“ – 51 ჰა-ს. და „ჯუმათი“ – 61 ჰა ახალშენილ პლანტაციას, რომელსაც ესაჭიროება სამრეწველო მიზნით დამუშავება. ამრიგად, საქართველოში წარმოებული მთლიანი მოცულობიდან 2016 წლისათვის მხოლოდ 3%-ია წარმოებული სამრეწველო პლანტაციებიდან, დანარჩენი 97 % კერძო საკარმიდამო ნაკვეთებიდან შეძენილი ნედლეულით. ამ პერიო-დისათვის საქართველოში წარმოებული იქნა 4135 ტონა საექსპორტო პროდუქცია. საქართველოში დაფნის ფოთლის ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპორტიორები არიან თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, მათ შემდეგ ყაზახეთი, ბელორუსია, უზბეკეთი, ასევე უმნიშვნელო ექსპორტი ხორციელდება პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სამხრეთ კორეაში, ვიეტნამში, ნიგერიაში, ფილიპინებზე, ესპანეთსა და ბულგარეთში. საქართველოში დაფნის გამომშრალი ფოთლის საექსპორტო ფასები 2.2-დან 7.5 დოლარამდეა, ხოლო წვრილად დაჭრილი და დაფქვილი პროდუქციისა 0.22-დან 1.6 დოლარამდე. ფასების ცვალებადობა დამოკიდებულია: ფოთლის სიგრძეზე, ფერზე, ზომაზე, ეთერზეთების შედგენილობაზე, გაუტეხელი და დაზიანებული ფოთლების პროცენტულ რაოდენობაზე, ფოთლებზე არსებული შავი/ყავისფერი ლაქების არსებობაზე, ასევე დაფნის გამომშრალი ფოთლის ყოველ ერთ კილოგრამში ღეროების რაოდენობაზე.

დაფნის წარმოებისა და ექსპორტის სფეროში საქართველოს გააჩნია სერიოზული კონკურენტები. ასეთ ქვეყანას წარმოადგენს თურქეთი, რომელიც ითვლება დაფნის წარმოებისა და ექსპორტის მსოფლიო ლიდერად. თურქეთი რჩება საქართველოსათვის დაფნის ფოთლის ერთ-ერთ იაფ უმთავრეს საექსპორტო ბაზრად. ივი აგრეთვე დაფნის ფოთოლს ყიდულობს სირიაში. იმპორტირებული დაფნა თურქეთს საკუთარი დაფნის ფოთოლთან ერთად გააქვს რეექსპორტზე მსოფლიოს 78 ქვეყანაში. 2016 წელს მან ამ ქვეყნებში 14073 ტონა პროდუქცია გაიტანა.

ამ მცირედი, თუმცა საინტერესო ექსკურსის შემდეგ ჩვენს მოსახლეობას უნდა გაუჩნდეს ინტერესი და მოტივაცია საქართველოში წარმოებული დაფნის ფოთლის მოცულობების გადიდებისა და საექსპორტოდ პირდაპირი კავშირების ძიებისაკენ. თუმცა ბოლო წლების ინფორმაციით მოძიებულია მრავალი ქვეყანა ევროპასა და აზიაში ხარისხოვანი დაფნის ფოთლის, ეთეროვანი ზეთის და სხვა პროდუქციის პირდაპირი ექსპორ-ტისათვის. ამისათვის მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის მქონე ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი და სხვა. სწორედ აქედან გამომდინარე, გაიზარდა მოსახლეობის მომართვიანობა სახელმწიფოს მიმართ, რათა დაფნის კულტურა შეტანილი იქნას „დანერგე მომავლის“ მრავალწლიანი ბაღების გაშენების თანადაფინანსების კომპონენტის ჩამონათვალში. აღნიშნულ საკითხებზე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის მიერ მომზადდა სათანადო მასალები ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოში წარსადგენად.

დღეისათვის დაფნის ნარგაობა, საიდანაც საექსპორტო პროდუქცია მზადდება ველურ მდგომარეობაშია და მოვლა-პატრონობის სერიოზული დეფიციტს განიცდის. ძირითადი ოპერაცია, რაც ამ ნარგაობაში ტარდებ,ა ეს გახლავთ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ღერო-ფოთლების აჭრა და რეალიზაცია. ნარგაობა მოკლებულია განოყიერების, ნიადაგის დამუშავების, შეწამვლისა და გასხვლა-ფორმირების აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ნედლეული ექსპორტიორების მიერ შეფასებულია, როგორც ბიოლოგიურად სუფთა პროდუქცია, მაგრამ თუ გვინდა პერსპექტივაში გადავიდეთ დაფნის სამრეწველო (შპალერული წესით) ნარგაობის გაშენებაზე, თავიდანვე გათვალისწინებული უნდა იქნას ამ კულტურის მოვლა-მოყვანის მეცნიერულად შემუშავებული კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რაც უპირველეს ყოვლისა გაზრდის ხარისხიანი ფოთლის მოსავლიანობას და ნედლეულში ეთერზეთების შემცველობას. აღნიშნულ საკითხზე ჩვენს მიერ მზადდება კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც უახლოეს პერიოდში მიეწოდება მოსახლეობას.

ახლა რაც შეეხება დაფნის ძველ ნარგაობებს, რომლებიც ქაოსურადაა გაბნეული მოსახლეობაში. მათ მფლობელებს გვინდა მივაწოდოთ ზოგიერთი სახის რჩევა-დარიგებები და ის გასატარებელი ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვნად გაახანგრძლივებს მათ ექსპლოატაციას და გააუმჯობესებს ფოთლის ხარისხს. უპირველეს ყოვლისა დაფნის ინდივიდუალურ ნარგაობებში უნდა მოეწყოს მცენარეთა დათვ-ალიერება-შემოწმება, პარალელურად ჩატარდეს შტამბისა და ვარჯის გაწმენდა ეკალბარდისაგან. თებერვალ-მარტში ნარგაობის ქვეშ ჩატარდეს ნიადაგის შებარვა-გაფხვიერება. ახალგაზრდა ნარგაობაში ერთ ხეზე 0.5 კგ, ხოლო ხნიერ ნარგაობაში 1,0 კგ რთული მინერალური სასუქის (ამოფოსკა) შეტანა. სასუქად ორგანული სასუქის (ნაკელი, ტორფ-კომპოსტი) ერთ ხეზე 20-40 კგ-ის შეტანა და ნიადაგის დამულჩვა. საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში (განსაკუთრებით გურია-აჭარა) დაფნის ნაზ ყლორტებს და ფოთლებს აზიანებს სხვადასხვა სახეობის მჩხვლეტ-მწუწნი მავნებლები, აქვე ვითარდება სოკოვანი დაავადება, რომელთა წინააღმდეგ სასურველია წამლობის პერიოდული ჩატარება სპეციალისტის რეკომენდაციით. დაფნის ხნიერ ნარგაობაზე - ხეებზე მიზანშეწონილია ყოველ 2 წელიწადში მოსავლის აღება 2-3-წლიანი ტოტების აჭრით, ხოლო ყოველ 5-6 წელიწადში სასურველია მცენარეების უფრო მძიმედ გასხვლა ახალი ოუვენილური ყლორტების განვითარების მიზნით. მოსახლეობაში ხშირია შემთხვევა, სადაც დაფნის ნარგაობა გაშენებულია ღობეების გასწვრივ, ან ცოცხალ ღობედ შეკრული შპალერის სახით . ნუ შეეცდებით მცენარის ფესვის ყელზე აჭრას, ნიადაგის ზედაპირიდან 1.5 მეტრის სიმაღლეზე აწარმოეთ. ე.წ. შპალერული გასხვლა 2 წელიწადში ერთხელ, ნიადაგის სათანადო დამუშავებით, განოყიერებითა და ნაზი ყლორტების შეწამვლის აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებით. მჟავე ნიადაგებზე გაშენებულ დაფნის ნარგაობებში ყოველ 4-5 წელიწადში სასურველია ერთ ხეზე 10-15 კგ კირის შემცველი ნივთიერებების შეტანა. დაფნა ვერ ეგუება დაჩრდილვას. იგი სინათლისა და სითბოს მოყვარული მცენარეა, ამდენად ეცადეთ დაფნის ნარგაობა გაათავისუ-ფლოთ ირგვლივ არსებული ნაკლებად ეფექტური მაჩრდილობელი მცენარეებისაგან. მოსახლეობის, კომპანიების, ფერმერების იმ ნაწილმა, ვისაც ძველ ნარგაობასთან ერთად სურვილი გაუჩნდება დამატებით დაფნის ახალი სამრეწველო პლანტაციები გააშენოს, უნდა გათვალისწინოს შემდეგი პირობები:

მოგეხსენებათ, დაფნა ყველა ტიპის ნიადაგებზე იზრდება ,კარგია ნეშომპალა-კარბონატული და ალუვიური ტიპის ნიადაგები, თუმცა სათანადო ქიმიური მელიორაციის შემდეგ დაფნისათვის მისაღებია წითელმიწა, ყვითელმიწა, ეწერმიწა ნიადაგები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ფართოდაა წარმოდგენილი. დაფნა შესაძლებელია გაშენდეს, როგორც ვაკე, ისე ფერდობ ადგილებზე, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მცენარის მძლავრი ფესვთა სისტემა საუკეთესო პირობაა ეროზიული პროცესების შესამცირებლად. ნედლეულის გარეგანი სახისა და მასში ეთერზეთების მეტი რაოდენობით დაგროვების მიზნით, უკეთესია დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობები.

როგორც წესი დაფნის ახალი პლანტაციების გასაშენებლად ფართობი წინასწარ უნდა გაიწმინდოს ხებუჩქნარისაგან, თუ ფართობი ერთწლიანი კულტურების ქვეშაა დაკავებული სეზონის მშრალ პერიოდში უნდა მოხდეს პლანტაჟური წესით 50 სმ სიღრმეზე დამუშავება მინერალური სასუქების - 500 კგ/ჰა და ორგანული სასუქების (ნაკელი; ტორფ-კომპოსტი) 20 ტონა ჰექტარზე შეტანით. მჟავე ნიადაგებში ნიადაგის პირველადი დამუშავების დროს სასურველია ქიმიური მელიორანტების (კირი, დოლომიტი, დეფეკაციური ტალახი) შეტანა მჟავიანობის ინდექსის მიხედვით. ჭარბტენიან ადგილებში (კოლხეთის დაბლობი) უნდა მოეწყოს 8-10 მ. სიგანის ოვალური პროფილირებული კვლები. წყალგამყვანი გვერდითი არხებით. სასურველია პლანტაჟური წესით დამუშავებული ფართობები ნიადაგის უკეთ გაკულტურების მიზნით 1-2 წელი გამო-ყენებული იქნას ერთწლიანი სათოხნი კულტურების ქვეშ.

პლანტაციების გაშენების წინ ნიადაგი 30-35 სმ. სიღრმეზე ისევ მოიხვნება, დაითარცხება, მოსწორდება და აიგეგმება. გაშენების საუკეთესო ვადაა შემოდგომა (ოქტომბერი-ნოემბერი) ან გაზაფხული (მარტი-აპრილი). დაფნის სამრეწველო პლანტაციის გაშენება ხდება ორი წესით: მდიდარ ნიადაგებზე ინდივიდუალური (ბუჩქური) და მწირ ნიადაგებზე შპალერული წესით. ინდივიდუალური წესით გაშენების დროს რეკომენდებულია მწკრივებს შორის მანძილი 1,75 ან 2,0 მ, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის - 1,0 მეტრი. ასეთ დროს ერთ ჰექტარზე თავსდება შესაბამისად 5700 და 5000 ძირი ნერგი. შპალერული გაშენების დროს მწკრივთა შორის მანძილი იგივეა, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის მანძილი 0,5 მ-ია. ასეთ შემთხვევაში მცენარეთა რაოდენობა ორმაგდება 10000-დან 11500-მდე. ფერდობ ადგილებზე დაფნის მწკრივები განლაგდება ჰორიზონტალურად, ასევე სასურველია წყალმრიდი არხების გაყვანა.

დაფნის პლანტაციები შენდება, როგოც თესლით, ისე ნერგით. თესლით გაშენების შემთხვევაში წინასწარ დაგეგმილ მწკრივებში ამოიღება ბუდნები, სადაც 4-5 სმ სიღრმეზე ითესება 3-4 დაფნის კონდიცირებული თესლი, მიწა იტკეპნება და ესობა მაჩვენებელი ჯოხი. ერთი ჰექტარის გასაშენებლად საჭიროა 50-80 კგ თესლი.

პლანტაციის ნერგებით გაშენებისას მონიშნულ ადგილებზე ამოიღებენ 20-25 სმ სიღრმის ორმოებს, დაფნის ნერგის ფესვებს ამოავლებენ წუნწუხში, რგავენ, ტკეპნიან, საჭიროების შემთხვევაში რწყავენ კიდეც. პლანტაციების ნერგებით გაშენებას აქვს უპირატესობა, პირველ ორ წელიწადს იოლდება ახალგაზრდა მცენარეების მოვლა და, რაც მთავარია, ნარგაობა 1-2 წლით ადრე შედის ექსპლოატაციაში. უმჯობესია სარგავ მასალად გამოყენებული იქნას პოლიეთილენის პარკებში, ან რეზინის კონტეინერებში მიწის კომით გამოყვანილი ნერგები. ამ დროს მაღალია გახარება და მინიმუმამდეა მეწხერიანობა.

დაფნის სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად აუცილებელი იქნება სერთიფიცირებული სანერგეების მოწყობა, რომელიც სახელმწიფო თანადაფინანსებით იქნება უზრუნველყოფილი. სასურველია სანერგეები მოეწყოს რეგიონების მიხედვით, რითაც გაიოლდება სარგავი მასალის რეალიზაცია, თუმცა შესაძლებელია უკვე მოქმედ სერთიფიცირებულ სანერგეებშიც მოეწყოს დაფნის სტანდარტული ნერგების წარმოება.

მაღალმოსავლიანი და მაღალი ზეთის შემცველობის დაფნის სამრეწველო პლანტაციების გაშენების დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სათესლე მასალისა და ნერგის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. დაფნის თესლი უნდა დამზადდეს წინასწარ აპრობირებული, ნორმალურად განვითარებული ჯანსაღი მდედრობითი სქესის სადედე ხეებიდან. დაფნის თესლი იკრიფება ოქტომბერ-ნოემბერში. სასურველია იმავე წელს თესლის თესვა სანერგე პლანტაციის გასაშენებლად. თუ თესლი არ ითესება საჭიროა გაუკეთდეს სტრატიფიკაცია 7%-იან ტენიანობის სილაში და მოთავსდეს ხის ყუთებში. შენახული თესლი ითესება გაზაფხულზე 25 თებერვლიდან 25 მარტამდე. როგორც სანერგეში, ისე პლანტაციაში აღმონაც-ენების მზის სხივების სიდამწვრისაგან დასაცავად მიმართავენ სპეციალური საჩრდილობლების ან მცენარეული ტოტების გამოყენებას.

გვ-5

წერილი სეულიდან

„წასვლა სჯობს წამავალისა“

„ნაცებო“ და „ძოცებო“!

ეგ რა ჰქენით, თქვე არამზადებო? ისედაც აწეწილ-დაწეწილი ქვეყანა რომ დაანგრიეთ, დაამხეთ და გააპარტახეთ; თავისუფლების მომტანი ეროვნული მოძრაობა რომ დაასამარეთ; მოქალაქეებში სახელმწიფოებრივი აზროვნება რომ მოშალეთ; ღვინია ხარებივით ქვეყნის ერთგულ ხალხს რომ ჯერ შიმშილით სული ამოხადეთ და მერე, თქვენი დაუკმაყოფილებელი ამბიციების გამო, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდეთ; სიტყვა „პოლიტიკა“ და პროფესია „პოლიტიკოსი“ სამუდამოდ რომ შეგვაძულეთ.

რა დღეში ხართ? სარკეში თუ იხედებით? ასე რამ დაგიბინდათ გონება? ასე რამ დაგიბინძურათ სული და ასეთი რა სისხლი გადაგისხეს მაგ დასაწყვეტ ძარღვებში, ადამიანობისა რომ აღარაფერი შეგრჩათ? ვინ ხართ თქვენ, ამდენ უფლებას რომ აძლევთ საკუთარ გადახურებულ თავებს?

მაინც რამდენ ხანს უნდა ვუსმინოთ თქვენს უაზრო კამათს? რამდენ ხანს უნდა ვუცქიროთ უნამუსობით გადაშლილ თქვენს დაბიჟინებულ სიფათებს, რამდენ ხანს უნდა ვუყუროთ თქვენს უპრაკონო ქმედებებს, უზნეობასა და უმაქნისი მამლებივით ძიძგილაობას?!

ერთ ტაფაში მოსახრაკავი ხართ ორივე!

თქვენ ის ხალხი ხართ, ქვეყანას რომ არც მიწა შეარჩინეთ საკუთარი და არც წყალი, დაგვაკარგვინეთ ტერიტორიები; ის ხალხი ხართ, ყველას რომ გაუხსენით საზღვარი, ყველას რომ ენის მოჩლექით ესაუბრებით და ყველა თავზე შეგვაჯინეთ; თქვენ ის უთავმოყვარეო ხალხი ხართ, საშინაო საქმეებში შეუთანხმებლობისას ხან ევროპაში და ხან ამერიკაში რომ აბეზღებთ ერთმანეთს.

ძალიან გაჯავიდეთ, აი!

და როგორ ფიქრობთ, თქვენ რომ გამარჯვებას მოელით, იმ არჩევნებამდე მიაღწევს ასე ქვეყანა - ერთის ფსევდოოპოზიციური, სინამდვილეში საბოტაჟური ქმედებითა და მეორის მართლაც უნიათობით? არ მოგითმენთ ამდენს ხალხი. იმ შეშფოთებულ ამერიკასაც და იმ გაოკუპანტებულ რუსეთსაც ერთ დღეს ყელში ამოუვა თქვენი ეს დაუმთავრებელი კინკლაობა, მოგ...ნიათ პატრონიო, – ჩაიგინებენ და ერთი იმ მილიარდობით დოლარებს მოგვთხოვს, რაც ჩვენს „გადემოკრატიულებას“ შეახარჯა, მეორე კი მცოცავ ოკუპაციას აღარ დასჯერდება.

არ უქნიხართ ღმერთს და წადით სანამ დროა. ნუ უტუხობთ, ხომ თვითონაც ხედავთ,არაა პოლიტიკა და ქვეყნის მართვა თქვენი საქმე. მე რომ მკითხოთ, ტოლფასოვანი დანაშაულებია ერთის ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმი და მეორის ე. წ. კოჰაბიტაცია.

გემი ისე არ დაიმსხვრევა, რომ მისგან ნავი არ გამოვიდეს. უფლის ნებით, გამოჩნდება ახალი ძალა, რომელიც თქვენგან დანაფოტებული ხომალდის ნარჩენებით ნავს ააგებს და ქვეყანას სამშვიდობოს გაიყვანს.

„წასვლა სჯობს წამავალისაო! –ხომ გაგიგონიათ ეს სიმღერა? და ძალიან ნუ დააყოვნებთ, თორემ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა ხალხმა სხვანაირი გაცილება და „მატროსოვამდე“ მიცილებაც იცის.

ანა სეულელი.

..ის, ყველასთან სხვადასხვა გზით მიდის

„რწმენა, მონასტერში დაბადებული თქვენს სულში, მოსპობს თქვენში შიშს და წარმოქმნის მონანიებას“

მწერალ თემურ ბაქანიძის პირველი წიგნი „ვიყები“ 1995 წელს გამოიცა, რომლის მიხედვით შექმნილი პიესა ქ. თბილისში, შალვა შავგულიძის სახელობის თეატში „სახიობა“ დაიდგა. ამას მოჰყვა წიგნები: „სისხლიანი პიანინო,“,„ჩემი პატარა პატიმარი“, „თოვლში გაჩერებული მატარებელი“. შემდეგ მან ჟურნალისტიკაშიც სცადა ბედი და გაზეთ „ალიონში“ დაიწყო მუშაობა. აქვეყნებდა საინტერესო ნარკვევებს და რეპორტაჟებს. 2013 წლის დასაწყისში მოულოდნელად ბოლნისის ეპარქიაში, სახუნდარის მამათა მონასტერში წავიდა. წლების შემდეგ შეგვეხმიანა და გთავაზობთ გაზეთ „ალიონისადმი“ გაფრთხილებულ მის წერილს:



მეუფე ეფრემი, თემურ ბაქანიძე

„...უბრალოდ, ჩვენი გზები არ არის ცისარტყელასავით ნარფეროვანი მასთან მისასვლელი...გზა მისკენ-მხოლოდ ერთია... და ყველა ამ გზას მივყვებით...გზა შემოდგომისა...ჭირნახულის პატრონობისა...მოსავლის აღებისა...გზა ნათელისკენ, რომელზეც ყველა ერთია-მეფეც და მონაც...მდიდარიც და ღარიბიც... ჯანმრთელიცა და ავადმყოფიც...და ყველას ჩვენ-ჩვენი გუდა გვაქვს ზურგზე აკიდული- გუდა-ცოდვათა და სიკეთისა... ბევრი მოლუშულია ამ გზაზე მიმავალი...ცოტა კი, სახეგანათლებული-გაბრწყინებული სახით და იმედით სავსე თვალებით...ბევრი, ვინც მოწყენილია, ხვდება, რომ დამთავრდა-ის...რის დამთავრებასაც ელოდა, მაგრამ არ ელოდა ამ გზაზე შედგომას...არ ეჯერა მოლხენილს, ცოდვებით მცხოვრებს, სიბოროტითა და ფარისევლობით ნაარსებალს, რომ ვისკენის თაობას დრო გასდის...რომ ფეხზე-ფეხის შემდობა ცოდვა...ესმოდა...იცოდა...მაგრამ არ სჯეროდა, რომ ეს გზა სიმართლე იყო...ოხ !!! როგორ არ სურდა, რომ ამ გზის არსებობა, სიმართლე იყო... თურმე...ხოლო მათ, ვისაც უხარის, უხარის, რომ დამთავრდა რაც ტანჯავდა და დაწყო ის, რის გამოც იტანჯა...რომ დამთავრდა ყოველი წყენა ატანილი ახლოთა და შორეთა მიერ...რომ დაუდგა დრო, რათა თვალებში ჩახედოს მას, ვინც ტანჯავდა...დროებით ჩახედოს, სანამ ამ გზის გასაყარს არ მიაღწევენ...და დაემშვიდობოს წამიერი თვალის შეკვლებით, რომელიც სინანულით იქნება სავსე...ყველას გეცოდებოდეთ, იქ მიმავალნი...რომლებმაც წუთისოფელი გადაიქცეს სამოთხედ, რათა იქ ჯოჯოხეთის სამუდამო მკვიდრები გამხდარიყვნენ.. განსაკუთრებით-ფარისევლები... რომლებთაც შეუძლიათ ნიღბებით ცხოვრება... ვითომდა მორწმუნენი, რომლებიც საკუთარ ძმასაც კი არ დინდობენ, რათა დედამიწაზე ცხოვრება შეიმსუბუქონ...

...გზა-ქრისტესკენ მიმავალი...გზა სინათლისა და გადარჩენისა...გზა დასვენებისა...და ბევრთათვის, გზა სასჯელისა სამუდამოსი...გზა საშინელებისა...გზა, რომლის დასასრულში, ისმის წივილისა და გოდების ხმა...სადაც არავინაა მშველელი...სადაც არ მოდის მამაშვილობა-ცოლქმრობა-ბაბუა-შვილიშვილობა...სადაც არავის არავისთვის სცალია...და ვერავინ ვერავის ცნობს...და არავის არაფერი აინტერესებს, საკუთარი ტანჯვის იქით...

..ჩვენც, მასთან, სხვადასხვა ცხოვრებიდან და სხვადასხვა გზებით მივემართებით, მანამ, სანამ თავს არ მოვიყრით მთავარ გზაზე, რომელიც ზემოთ ვახსენე...ანკარა წყაროები მდინარეში ჩამავალნი...და მდინარეები, ზღვასა და ოკეანეში ჩავარდნილები...

..მე, იქ გარდაცვალების შემდეგ ავდმოვჩნდი...ხო, ნუ გაგიკვირდებათ...თუ ადამიანს გინდა შენი ცხოვრება ანგარიშო, ჯამი ყოველთვის ერთია-ვიღუპებით ჩვენივე ცოდვების გამო...რომელსაც ვერავინ გაქცევია...და ვერც მე გავექეცი...მე, ერთ დღეს მივხვდი, რომ ცოდვათა გამო გარდავიცვალე...ნათლად მახსოვს, რომ სულად ქცეული გავშორდი ორგანიზმს ჩემსას და ზემოდან დავცქეროდი ადამიანს, მტვრად და არარაობად ქცეულს...ადამიანს, რომელიც ერთ დროს ქუხდა...და ძლიერი იყო...ქუხდა ცოდვებით გარემოსილი და ეშმაკისაგან გაძლიერებული ამ ცოდვათა გამო...დავყურებდი მას, ცხოვრებისგან დასჯილს...განადგურებულს...მე, წამებში დავკარგე ყველა და ყველაფერი...მე, აღარ ვიყავი ცოცხალთა სიაში...ვიყავი სული, რომელსაც აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო...

...ახლა, როცა დავფიქრდები იმ დროზე, ვხვდები უფლის სიბრძნეს, თუ რატომ მოხდა ეს ჩემს ცხოვრებაში...და პასუხი მუდამ ერთია, იმ გარდაცვალებით, უფალმა სიკვდილს გადამარჩინა...გარდაცვალება და სიკვდილი-სამუდამო სასჯელი და სამუდამო ნეტარება...არ გამიმეტა...წამაქცია...დამამსხვრია და დამლეწა, რათა მეგრძნო, რას ნიშნავს სიტყვა-„ღვთის ანაბარა“...ირგვლივ მიმოვიხედე-არც არავინ და არც არაფერი...მხოლოდ-ის და მწველი ცრემლები, რომელსაც გულიდან ამოხეთქილი მონანიება მოსდევს, შენივე წარსულის გამო...შენი უქმოდ დაკარგული ცხოვრებისა...ცხოვრება, რომელშიც ღმერთს იშვიათად, ან საერთოდ არ ვახსენებდით...

...ასეთ მდგომარეობაში მყოფი, ავდმოვჩნდი ბოლნისის ეპარქიაში-სახუნდარის მამათა მონასტერში...ტყეში...შორს ხალხისგან...შორს ერისგან...და ძალიან ახლოს საკუთარ ტკივილებთან, რომლითაც იწყება გზა გადარჩენისა...თავიდან დაბადებისა...ნათელი და ღიმილიანი ცხოვრებისა...მოვხვდი ბერების საცხოვრისში...უფლის სახლში—სახუნდარის ღვთისმშობლის ხარების მონასტერში...

..დაჭრილი სულის მკვებავი მამაღების ღვაწლით გადარჩენილი..ჩემი სიცოცხლის დამბრუნებელი, ჩემი მანუგეშებელი მამაების, ჩემი სულიერი მამების, ძმებისა და შვილობილების ხელში მოხვედრით გადარჩენილი...ახლიდან შობილი...სხვა გაგებითა და სხვა ხედვით...ვიხსენებ, როგორ მიჭირდა ლოცვებზე დგომა...როგორ მიჭირდა ყოფიერებასუნთქვაც კი...და ვიხსენებ უფლის ძალას...თითოეულ წამს ვიხსენებ, თუ როგორ შემდიოდა ჩემში სიცოცხლე მამაების ლოცვასთან ერთად..ვიხსენებ ღამეებს, როცა მშვიდად დავიწყე ძილი...როცა სამუდამოდ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან კოშმარები და სიზმრები...იმას ვიხსენებ, რომ აღვიქვი, ჩვენ ძილშიაც შეგვძლებია სიფხიზლე..რომ იქაც ვცხოვრობთ...და იმასაც, რომ ძილში ჩადენილი ცოდვაც ცოდვაა..ვიხსენებ, თუ როგორ დამბრუნდა დღის სინათის სიგიჟემდე სიყვარული...ბევრად უფრო მეტი, ბევრად უფრო მიმზიდველი და ნიჭიერი, ვიდრე იყო ჩემში-სიცოცხლის სიხარული...

..ვიხსენებ, თუ როგორ აფეთქა ჩემში სიტყვა-ერთგულება..ბედნიერია, თუ არა ჩემით ჩემი ოჯახი?..მეუღლე ჩემი?..ძალიან...რომ არა მონასტერი, ვიქნებოდი ერთერთი რიგითი ქმარი და მამა...დღეს კი, ჩემი სიყვარული მათ მიმართ განუზომელია...მუდმივად ოცნება მათზე და მუდმივად ლოცვა ჩემს მეუღლესა და ჩემს შვილებზე..მუხლის მოდრეკა სიყვარულის წინაზე და ლოცვა წარმოთქმული მეუღლის მიმართ...ცხოვრება, რომელშიც „სვეტა და ნატაშა“, შენთვის მოსავონრადაც სირცხვილია და ნანობ ყოველ წამს ნაცხოვრებისა, რომელიც სიძვაში გაგიტარებია...

..მონასტერში ვიგრძენი პირველად, რომ ავტოფარეხში დგომითა და „პი-პი-პი“-ს ძახილით, ავტომობილად ვერ გადაიქცევი...ეს, იმიტომ ვთქვი, რომ ვიხსენებ ჩემს და ძალიან ბევრთა რწმენას...თუ, როგორი ცარიელი სულებითა და გულებით დავდივართ იქ, სადაც არა მარტო იმედს მომავალზე, არამედ-სიყვარულს უნდა დავყაოდეთ და შიშს-ამ სიყვარულის დაკარგვისა...იქ, ვიგრძენი ქრისტე მაცხოვარის სიყვარული, რომელმაც დამჩოქა და სამუდამოდ..მე, ვგრძნობდი მის სუნთქვას ჩემს ყურთან...ვგრძნობდი სიცოცხლეს, სიყვარულს და იმედს...

...მონასტერში აღვიქვი სიტყვა-სამშობლო...და ავტირდი..ჩემი ცრემლები რომ ყოფილიყო საფუძვლიანი, უფლის წყალობით, 5 თვით მომიწია ხრამის ხეობაში, სხვა მონასტერში ყოფნა, იქაც ღვთისმშობლისაში...მახსოვს ახლად დამუშავებული მიწიდან, თუ როგორ ამოყარა ტრაქტორმა ჩემს წინაპართა ძვლები...ჭურჭლის ნამსხვრევები...ვნახე მათგან უზარმაზარ ლოდებში გამოთლილი საწნახელები...და პირველად ვიგრძენი იქ, თუ როგორ მიყურებდნენ წინაპართა თვალები...ხრამის ხეობა, სადაც მჭეფარე ქართული ცხოვრება, თემურ ლენგმა განადგურა..მისგან დარჩენილი კი-დაღესტანელებმა...მე, ვგრძნობდი მათ სიხარულს, როცა სამრეკლოს ზარებს ვრეკავდი..ვგრძნობდი, რომ ხედავდნენ, ის ეკლესია, რომელშიაც თვითონ ლოცულობდნენ, ისევ აწკრიალდა და ამცნო მათ სულებს, რომ საქართველო არის და შესაბამისად, ისინიც იქნებიან მუდამ-ჩემი სამშობლო და ჩემი წინაპრები...

..მე, გარდავიცვალე და თავიდან ვიშვი...სიცოცხლეზე გიჟივით შეყვარებული და უფალს ვთხოვ, თუკი დამმადლა ერთ სიცოცხლეში ორჯერ დაბადება, დარჩენილი დღეები, სულ სიკეთის თესვაში მატარებინოს, რათა იმ გზაზე შემდგარს, სახე მქონდეს ბედნიერი...რომ არ მეშინოდეს წუთისოფლში ჩემი აღსასრულის, რომლითაც ულევი ცხოვრება იწყება...

..რას გისურვებდით?..მოწყდით ერს და წადით მონასტრებში..ნუ უყურებთ და უსმენთ იმ სულელთა ენის ტლიკინს, რომელთა საქმე მამაების ლანძღვა-გინებაა...ერთეულებით ნუ გაზომავთ უმრავლესობას...გახსოვდეთ, რომ ადამიანები ვართ 2 სახის-ბუზები და ფუტკრები-ბუზი ყველგან მძორს მოძებნის, ხოლო ფუტკარი სიტკბოს...გარდაქმენით ცხოვრება ისე, რომ მამაები გახდეს თქვენი ცხოვრების ნაწილი-აქციეთ ისინი ოჯახის წევრებად-ხალხი, ვინც ქრისტე მაცხოვრის სახლებში ცხოვრობენ და მათი თქვენთან ყოფნით, ქრისტეს მადლი შემოვა თქვენს ცხოვრებასა და თქვენს ოჯახებში...

..რწმენა, მონასტერში დაბადებული თქვენს სულში, მოსპობს თქვენში შიშს და წარმოქმნის მონანიებას, რომელსაც მოსდევს იმედი-იმედი სამუდამო ნეტარებისა...

..ჩემი დღემანდელი საქმიანობა?. თქვენი სიყვარული..მუდამ თქვენი სიყვარული და მიხვედრა იმისა, რომ არ არსებობს გაჭირვება, არის მხოლოდ სასჯელი და განსაცდელი, რომელთაც უფალი გვიგზავნის ჩვენსავე გადასარჩენად და გვიგზავნის ძალას, მათ გადასალახავად...გინდათ გადარჩეთ?..მაშინ გიყვარდეთ ქრისტე, სამშობლო, მონასტერი, მამაები და რა თქმა უნდა- ერთმანეთი...

...მე, თქვენ, სიგიჟემდე მიყვარხართ...

თემურ ბაქანიძე.

ალვადგინოთ ქართული დაფნა

შპალერულად გაშენებულ სამრეწველო პლანტაციაში რეგულარულად ხდება რიგთაშორის ნიადაგის გაფხვიერება, ნათესარების გახელვა, მინერალური სასუქების შეტანა (ახალგაზრდაში 200-300 კგ ; ზრდასრულში 500 კგ). პერიოდულად სასურველია ორგანული სასუქებით განოყიერება. თუ პლანტაცია განკუთვნილია ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის საწარმოებლად, მაშინ პირველ ეტაპზე აუცილებელია ნიადაგის მინერალური საკვებით უზრუნველყოფა, ნარგაობის მოძლიერება, ხოლო მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ორგანული სასუქებით გამოკვება. ასეთ პლანტაციებში დაუშვებელია ჰერბიციდებისა და შხამქიმიკატების მაღალი დოზების გამოყენება.

სპეციალურად გაშენებულ დაფნის სამრეწველო პლანტაციებში მოსავალი მე-3 მე-4 წლიდან აიღება. სრულმოსავლიანობაში ნარგაობა მე-8 მე-10 წელს შედის. მესამე წელს ბუჩქების აჭრა ხდება ბასრი მაკრატლით მიწის ზედაპირიდან 10-15 სმ სიმაღლეზე. დაფნის მორიგი გადაჭრა ხდება 2 წლის შემდეგ 20-25 სმ სიმაღლეზე. ეი. მოსავლის აღება ხდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. ამ მიზნით ნაკვეთი პირობითად იყოფა ორ ნაწილად, სადაც პირველ წელიწადს ერთ ნაკვეთში ხდება მოსავლის აღება და მეორე წელიწადს მეორე ნაკვეთში და ა.შ. როდესაც ბუჩქები გადაიზრდებიან 8-10 წელიწადში აწარმოებენ ნარგაობის გაახალგაზრდავებას ფესვის ყელიდან 20-25 სმ სიმაღლეზე. დაფნის პლანტაციებში მოსავლის აღება ხდება 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე მშრალ-მზიან ამინდში. აჭრილი მასა იკვრება კონებად და გადაიტანება გადამამუშავებელ საამქრო- კომბინატებში. ერთ ჰექტარზე დაფნის სრულმოსავლიანი პლანტაცია იძლევა 8-10 ტონა ნედლეულს, ანუ 2 ტონა ხმელ ფოთოლს.

დღეისათვის საქართველოში დაფნის ფოთლის მწარმოებლად 10-ზე მეტი საწარმოა (ხობი, ზუგდიდი, სენაკი, ქუთაისი, ბათუმი, წყალტუბო, ხელვაჩაური, ლანჩხუთი, სამტრედია, ოზურგეთი)

პერსპექტივაში, როდესაც დაფნის სამრეწველო პლანტაციების გაშენება სახელმწიფო თანადაფინანსებით განხორციელდება, როგორც სახელმწიფო დამამზადებლების, ისე გადამამუშავებელი საწარმოების პასუხისმგებლობა გაიზრდება და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოექცევა. გამორიცხული არაა შეიქმნას დაფნის მწარმოებელთა ასოციაცია, რაც კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის ამ დარგის განვითარებას.

არაერთხელ ვიუწყებოდით იმის თაობაზე, რომ საბაზრო ლიბერალიზაციის პირობებში საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევას, მათ ექსპლოატაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ჩაის, ციტრუსების, თხილის, კენკროვნების გვერდით საპატიო ადგილი სხვა კულტურებმაც უნდა დაიკავონ, მითუმეტეს დაფნის კულტურამ, რომელიც თავისი სამრეწველო და საექსპორტო ღირებულებით მომგებიან დარგად უნდა გადაიქცეს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ დაფნის კულტურის გაშენებით და ექსპლუატაციით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სრულყოფილი კონსულტაციები მიიღონ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურში, ასევე დიაგნოსტიკურ ცენტრ „ანასეული“-ს ლაბორატორიაში შეამოწმონ თავიანთი ნიადაგებისა და მცენარეული ნიმუშების ხარისხიანობა და დაადგინონ პოტენციური შესაძლებლობა ამ კულტურის საწარმოებლად.

ზაურ გაბრიჩიძე,
სმმ. დოქტორი, პროფესორი.

იოსებ ბასილია,
სმმ. დოქტორი.

ნიკა გუნთაძე,
მაგისტრანტი.

სულთათანა

ნონა მახარაძე

დიდი მწუხარებით გაუწყებთ, რომ ნონა მახარაძის სახით, კიდევ ერთი ლამაზი ქალბატონი დაკარგა მუსიკალური სკოლის პედაგოგიურმა .კოლექტივმა. მისი სახელი ასოცირდება უდიდეს პროფესიონალიზმთან, პოზიტივთან და ყველა საუკეთესო თვისებებთან. მუდამ ჩვენს გულებში იქნები ნონა და არასოდეს დაგივიწყებთ შენი საყვარელი მეგობრები.

პატივისცემით,
ოზურგეთის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი.

უახლოესი მეგობრები: ოთარ ნაცვალაძე, გიორგი ნაკაიძე, გოჩა ჯინჭარაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გელა შაფაქიძეს მეუღლის **ნონა მახარაძის** გარდაცვალების გამო.

ზემო ნატანების ბავშვთა საფეხბურთო გუნდ „საღვთოს“მწვრთნელი გია ტუღუში, ბავშვები და მათი მშობლები თანაუგრძნობენ გელა შაფაქიძეს მეუღლის **ნონა მახარაძის** გარდაცვალების გამო.

შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, ჩვენო დათო!



ორმოცი დღე გავიდა, რაც მარადისობაში გადადი. განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდი ირგვლივ და ყველგან. შენ იყავი ჩვენი მამოძრავებელი, შემაკავშირებელი ჭირსა თუ ლხინში. ყოველთვის იყავი თბილი, მეგობრული, გქონდა იუმორის დიდი გრძნობა, ამავე დროს იყავი პრინციპული.

ვერავინ დაივიწყებს შენს აურაცხელ მადლს, სიკეთეს, მეგობრების მიმართ ყურადღებას. დედისერთა იყავი, მაგრამ მრავალი და-ძმა გყავდა ირგვლივ.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია სანამ შენი შვილი, შვილიშვილი, მეგობრები, ახლო ნათესავები იქნებიან.

ცოტა დრო არ არის 60 წელი თანაკლასელებთან ყოფნა, შენი სითბო, ყურადღება არავის დაკლებია, არც არავინ ივიწყებს.

ძალიან დაგვაკლდი ჩვენო დათუნა.

თანაკლასელები.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნოს ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ გაერთიანებათა უფროსს გელა შაფაქიძეს მეუღლის, **ნონა მახარაძის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის 1972 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის **დიმა (ბურთულა) ვადაჭკორიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება ყველაზე იაფად და ხარისხიანად
ტელ: 598 00 53 53

სკანვორდი



პასუხები:

ქალის სახელი: ანა, ანეტა, ანეკა, ანეტა, ანეკა, ანეტა, ანეკ

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმები

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

გაგრძელება დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №4, 6



კომისიაში შევიდნენ: ბარონი **ოსტენ-საკენი,** სახელმწიფო მრჩეველი **ლანსნლ**ა, პოდპოლკოვნიკი **ჩერქეზოვი,** პოდპოლკოვნიკი **როსლავლევი,** ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი **ბარანოვსკი,** გენერალური შტაბის საქმის მწარმოებელი **შელკოვნიკოვი**. კომისიამ გამოიტანა სავსებით სწორი დასკვნა: აფხაზეთში თითოეული სოფელი თუ თემი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ერთ ავტორიტეტულ პიროვნებას. სწორედ ეს დასკვნა დაედო საფუძვლად აფხაზეთის ადმინისტრაციულ მოწყობას. პროექტის მიხედვით, ყოფილი აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო **სოხუმის განყოფილება (□□ı□□æŒŁØ □□□º)**, რომელიც **ოკრუგად** დაიყოფებოდა. ოკრუგის ერ-თპიროვნული მმართველი **ოკრუგის უფროსი** უნდა ყოფილიყო. მთელი მოსახლეობა **აფხაზად, სამურზაყანოელებად და წებელდელებად** დაყვეს. წებელდა და სამურზაყანო ცალ-ცალკე ოკრუგები უნდა ყოფილიყო, ხოლო აფხაზეთი ორ ოკრუგად გაიფოდა.

აფხაზეთში არსებული სასამართლო დაწესებულებები: **სოხუმის დროებითი სასამართლო, სოხუმისსაქალაქო რატუშა** და ცალკეულ **წოდებათა სასამართლოები** –სავსებით ვერ არსულებდნენ დაკისრებულ ფუნქციას. აუცილებელი იყო, აფხაზეთში ახალი სასამართლო დაწესებულებების შექმნა და ერთიანი კანონმდებლობის ამოქმედება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის წარმებისას რუსული კანონმდებლობის ერთბაშად შემოღება დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ამიტომ გადაწყდა, დროებით ძალაში დაეტოვებინათ სახალხო სასამართლო საქმის წარმოება – **სიტყვიერი (ზეპირი) სასამართლო.**

1865 წელს, კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით, გაუქმდა: აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლის სამმართველო და მისივე სამოქალაქო კანცელარია სოხუმში; სოხუმის საქალაქო რატუშა; სოხუმის კომენდატურის სამმართველო; წებელდისა და სამურზაყანოს საპრისტაოების მმართველობები. ამის შემდეგ შეიქმნა **სოხუმის განყოფილება,** რომლის გამგებლობაში შევიდა აფხაზეთი, სამურზაყანო და წებელდა. 1866 წლის 11 აგვისტოს დამტკიცებული საშტატო განრიგით სოხუმის განყოფილების მართვა **უფროსს** ევალებოდა, რომელსაც უშუალოდ ემორჩილებოდა საგანგებო დანიშნულებათა 2 მოხელე და კანცელარია. სოხუმის განყოფილების უფროსი უშუალოდ ექვემდებარებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

სოხუმის განყოფილება ქალაქ სოხუმის მმართველობად და 4 ოკრუგად გაიყო: **წებელდის, ბიჭვინთის, ღრანდისა** და **ოქუმის.** სოხუმის მმართველობაში უმაღლესი რანგის მოხელე **ქალაქის უფროსი** იყო, რომელსაც პოლიციის მმართველობა ექვემდებარებოდა. ოკრუგს სათავეში **ოკრუგის უფროსი** ედგა, ხოლო სოფელს – **მამასახლისი.** სოფლის მამასახლისის ძირითად ფუნქციას გადასახადის აკრეფა წარმადგენდა.

სოხუმის განყოფილების ყველა ოკრუგში შეიქმნა **სიტყვიერი (ზეპირი) სასამართლოები,** ხოლო სოხუმში – **მთავარი სასამართლო.** სოფლებში მოქმედებდა **სამედიატორო (საშუამავლო) სასამართლოები.**

სოხუმის ოკრუგის ახალმა ადმინისტრაციულმა მოწყობამ სულ ერთი წელი იარსება. 1867 წელს წებელდელთა დიდი ნაწილის ოსმალეთში გადასახლებასთან დაკავშირებით შეიცვალა სოხუმის განყოფილების ადმინისტრაციული მოწყობა. 1868 წელს, გენერალ-მაიორ **ვასილი გეიმანის** პროექტის მიხედვით, სოხუმის განყოფილება ორ ოკრუგად გაიყო: **ბიჭვინთისა** და **ოჩამჩირისა.** სამურზაყანო და აფხაზეთის ნაწილი (მდინარე კოდორამდე) ოჩამჩირის ოკრუგში შევიდა. ბიჭვინთის ოკრუგი **გუდაუთისა** და **გუმისთის** უბნებად დაიყო, ხოლო ოჩამჩირის **–კოდორისა** და **სამურზაყანოს** უბნებად. 1868 წელსვე სოხუმის ოკრუგში სასოფლო და სათემო მმართველობები შემოიღეს, სულ შეიქმნა 41 სასოფლო და სათემო მმართველობა.

3. ქუთაისის საგენერალგუბერნატოროს გაუქმება.სასამართლო რეფორმასთან ერთად გარდაიქმნა კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციული დაწესებულებებიც. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო, სამოქალაქო მმართველობის ორი სისტემა ჩამოყალიბდა: **პირველი** სისტემა 1801 წლის 12 სექტემბერს განისაზღვრა და 1840 წლის 10 აპრილის კანონამდე მოქმედებდა; **მეორე** სისტემა 1840 წლის 10 აპრილის კანონმა განსაზღვრა და 1844 წელს შეტანილი ზოგიერთი ცვლილებით მოქმედებდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის აშკარა გახდა, რომ სამოქალაქო მმართველობის სისტემა მოძველებული იყო და იგი ძირეულ გარდაქმნას საჭიროებდა, კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაცია ცდილობდა, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში არსებული სამოქალაქო მმართველობის სისტემა გადმოეღო, მაგრამ ამ ცვლილებას მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია: სასამართლო, პოლიცია და მეურნეობა ძველებურად იმართებოდა. 1864 წლის 13 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხაილ რომანოვმა ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმის მიზნით მეფისნაცვლის მთავარმმართველობის (მთავარი სამმართველოს) უფროსის თავმჯდომარეობით სპეციალური კომისია შექმნა, რომელმაც რამდენიმე კანონპროექტი მოამზადა.

1867 წელს გაუქმდა ქუთაისის საგენერალგუბერნატორო. თავის დროზე ქუთაისის საგენერალგუბერნატორო საგანგებო ვითარებაში შეიქმნა. მასში შევიდა **იმერეთი და გურია,** სადაც მეფეს და მთავრის ხელისუფლება კარგა ხნის გაუქმებული იყო, ასევე, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები, სადაც მთავრის ხელისუფლების გაუქმება მზადდებოდა.**სამეგრელოს, აფხაზეთისა** და **სვანეთის** სამთავროების გაუქმების შემდეგ, 1867 წლის 13 მარტს, კავკასიის მეფისნაცვალმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის გაუქმების შესახებ შუამდგომლობა აღძრა. მეფისნაცვლის პროექტი ითვალისწინებდა: 1.ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის გაუქმებას; 2. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატოს თანამდებობის გაუქმებას; 3. 1856 წლამდე არსებულ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობის აღდგენას; 4. სამეგრელოს მმართველობის გაუქმებას, სამეგრელოს ქუთაისის გუბერნიასთან შეერთებას და სამეგრელოს ტერიტორიის ზუგდიდის, სენაკისა ლეჩხუმის მაზრებად გაყოფას. 1867 წლის 16 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის პროექტი დამტკიცდა. კანონის ძალით, სამეგრელოს გაუქმებული მმართველობის საქმეებიდან ადმინისტრაციული ნაწილი გადეცა ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას, სასამართლო – ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს; ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს დაექვემდებარა საკარანტინო-სანაპირო სამსახური.

4. კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრალური მმართველობის რეფორმა. 1867 წელს ზოგიერთი ცვლილება გატარდა კავკასიის სამეფისნაცვლოს მმართველობაში. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო კონტროლიორის შუამდგომლობით გაუქმდა **საკონტროლო დეპარტამენტი** და წინათ მოქმედი საკონტროლო დაწესებულებების ნაცვლად, 1867 წლის 23 დეკემბრის დებულებით შეიქმნა ერთი ორგანო – პალატა. პალატას როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დაწესებულებების კონტროლის უფლება მიენიჭა. პალატას, 1866 წლის 3 იანვარს დამტკიცებული რუსეთის იმპერიის საკონტროლო დაწესებულებების დროებითი დებულების საფუძველზე, უნდა შემოწმებინა 7 წლის განმავლობაში შეუმოწმებელი დაწესებულებები.

ალექსანდრ ბარიატინსკის (1856-1862) მიერ კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრალურ მმართველობაში შეტანილი ცვლილებები შეუსაბამოდ ჩათვალეს. ცენტრალური მმართველობა 5 დეპარტამენტისაგან შედგებოდა, რომელთა შორის კოორდინაცია არ არსებობდა. კოორდინაცია მხოლოდ იმში გამოიხატებოდა, რომ ხუთივე დეპარტამენტის უფროსად კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსი ითვლებოდა. მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციასაც მთავარმმართველობის უფროსი ასრულებდა, ხოლო წევრებად ითვლებოდნენ მმართველობასთან არაფრით დაკავშირებული ადამიანები, რომელთა ფუნქციაც არავის განუსაზღვრავს.

კავკასიის მეფისნაცვალი ცენტრალური მმართველობის რეფორმას 1865 წლიდან შეუდგა. რეფორმის მიზანი ასე განისაზღვრა: 1. კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრალური მმართველობის შესანახი ხარჯები უნდა შემცირებულიყო და 1859 წლის ხარჯებს გაუტოლებოდა; 2. უნდა მომხდარიყო მმართველობის კიდევ მეტად ცენტრალიზაცია; 3. მეფისნაცვლის საბჭო მთავარმმართველობის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. 4.სხვადასხვა სამსახური უშუალოდ უნდა შესულიყო მთავარმმართველობის შემადგენლობაში, რაც უაზრო და დაუსრულებელ მიმოწერას ბოლოს მოუღებდა.

1867 წლის 9 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მიერ შემუშავებულმა ცენტრალური მმართველობის რეფორმის პროექტმა კანონის ძალა შეიძინა. კანონის მიხედვით, შემდეგი ცვლილებები განხორციელდა:

1. საერთო საქმეთა, საფინანსო და სასამართლო დეპარტამენტის ნაცვლად შეიქმნა ერთი – **მთავარმმართველობის (მთავარი სამმართველოს) დეპარტამენტი;**

2. სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის ნაცვლად შეიქმნა **სახელმწიფო ქონებათა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველო;**

3. გაუქმდა საკონტროლო დეპარტამენტი და მეფისნაცვლის დიპლომატიური კანცელარია. ამიერიდან მეფისნაცვლის დავალებით უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიურ ურთიერთობას საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე განაგებდა;

4. დაარსდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის კანცელარია;

5. კავკასიის მეფისნაცვლის საბჭო მთავარმმართველობის შემადგენლობაში არსებულ სამმართველოდ გადაკეთდა;

6. სასწავლო, ფოსტის, სამთო საქმისა და სამედიცინო სამმართველოები უშუალოდ შევიდნენ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის(მთავარი სამმართველოს) შემადგენლობაში. გარდა ამ სამმართველოებისა, მთავარმართველობის შემადგენლობაში არსებობდა საკარანტინო-სანაპირო ნაწილი, საგზაო-საშენებლო კომიტეტი, გლეხთა მოწყობის კომიტეტი, სტატისტიკის კომიტეტი, სამხედრო-სახალხო მმართველობა, კავკასიის მუზეუმი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, არქეოგრაფიული კომისია, კავკასიის საცენზურო კომიტეტი, არქივი, სტამბა და სხვ.

კავკასიის **მეფისნაცვლის მთავარმმართველობის**(მთავარი სამმართველოს) **საბჭოს** აღმასრულებელი ძალაუფლება არ ჰქონდა, იგი მეფისნაცვლის სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა. საბჭო იხილავდა შემდეგ საკითხებს: თანამდებობის პირების სასამართლო პასუხისგებაში მიცემას, გუბერნიებიდან შემოსული სხვადასხვა საჩივრებს, ყოველწლიური ფინანსური ანგარიშებს, ადგილობრივი შემოსავლებს და, საერთოდ, ყველაფერს, რაც კი სამოქალაქო მმართველობის სფეროს განეკუთვნებოდა (გადასახადების შემცირება-გაზრდა, ქალაქებისათვის სტატუსის მინიჭება ან ჩამორთმევა, მოქმედ კანონმდებლონაში ცვლილებების შეტანა და სხვ.).

კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრალური მმართველობის რეფორმის პროცესში ბევრი რამ უცვლელი დარჩა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა უწყებას ზოგიერთი ფუნქცია ჩამოერთვა, ზოგიერთი დაემატა, კერძოდ:

1. გუბერნიას კვლავ გუბერნატორი, ხოლო მაზრას მაზრის უფროსი განაგებდა;

2. გუბერნიის მმართველობა და გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველო რუსეთის ცენტრალური გუბერნიების მსგავსი ორგანოების უფლებამოსილებით სარგებლობდა;

3. მაზრის უფროსს უშუალოდ ექვემდებარებოდა პოლიციის სამმართველო და მაზრის საფინანსო ორგანები. მას შემდეგ, რაც ტყეების მოვლა-პატრონობა გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განგებლობიდან გამოვიდა, მაზრის ტერიტორიაზე არსებული ტყეების მოვლა-პატრონობა უშუალოდ მაზრის უფროსის მოვალეობა გახდა;

4. მაზრის უფროსის დაქვემდებარებიდან გამოვიდა საფოსტო სადგურები და იგი უშუალოდ კავკასიის სამეფისნაცვლოს საფოსტო უწყებას დაექვემდებარა;

5. გაუქმდა მაზრის ტერიტორიის უბნებად დაყოფა;

6. იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო პოლიცია არ არსებობდა, ქალაქის შემოსავალსა და გასავალზე კონტროლი მაზრის უფროსს ევალებოდა.

1867 წლის 9 დეკემბრის კანონის ძალით, კავკასიის მეფისნაცვალს დაევალა შეემუშავებინა ადმინისტრაციული ორგანოების შინაგანი მოწყობის წესები, ხოლო სამი წლის შემდეგ მიღებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეექმნა საბოლოო დებულების პროექტი. ამასთან ერთად, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭო ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოების შტატების შემცირების შესახებ მოსაზრების წარდგენას. კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრალურ მმართველობაში უნდა შემცირებულიყო 56 საშტატო ერთეული, რაც 21.386 მანეთს დაზოგავდა. სამაგიროდ, იზრდებოდა შტატები გუბერნიებში, მაზრებსა და ქალაქებში, კერძოდ, სამედიცინო, საფოსტო და საკარანტინო-სანაპირო სამსახურებში, რაც დამატებით 32.000 მანეთის გამოყოფას მოითხოვდა. საბოლოოდ, გუბერნიების, მაზრებისა და ქალაქების ადმინისტრაციულ მმართველობასა და სასამართლო დაწესებულებებში შტატების გაზრდის შედეგად 1867 წლამდე პერიოდთან შედარებით ხარჯები 444.000 მანეთით გაიზარდა. 1867 წელს კავკასიის სამეფისნაცვლოს საბიუჯეტო შემოსავალმა 4.000.000 მანეთი შადგინა, მაშინ, როდესაც მარტო სამოქალაქო ადმინისტრაციის შესანახი ხარჯები 5.000.-000 მანეთს გაუტოლდა. თუ ამას დავუმატებთ სამხედრო უწყების შესანახ ხარჯებს, ცხადი გახდება, თუ რა მდგომარეობაში ყოფილა კავკასიის სამეფისნაცვლოს ბიუჯეტი.

კავკასიის სამეფისნაცვლოს სამოქალაქო მმართველობაში გატარებული ცვლილებები უშუალოდ საქართველოსაც შეეხო. კავკასიის მეფისნაცვლის 1868 წლის ბრძანებით, **სვანეთის სამოქალოს,** რომლის გამგებლობაში **სადაღეშქელიანო** და **თავისუფალი სვანეთი** შედიოდა, **სადაღიანო** სვანეთიც დაექვემდებარეს. ეს საკითხი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა აღძრა, რომელიც აღნიშნავდა, უმჯობესია, სვანეთის სამივე ნაწილი ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს ექვემდებარებოდესო. გარდა ამისა, გუბერნატორი აღნიშნავდა: სადაღიანო სვანეთის ლეჩხუმის მაზრაში არსებობა სამეგრელოში ადმინისტრაციულ საქმიანობას ართულებსო.

სამეგრელოს სამთავროს გაუქმებამ და ქუთაისის გუბერნიასთან შეერთებამ, ანუ სამეგრელოში რუსული მმართველობის გავრცელებამ, ვახტანგ VI-ის სამართლის მოქმედების შეჩერების საკითხი დასვა, ქართული სამართალი რუსულით უნდა შეცვლილიყო. ქართლ-კახეთში, იმერეთსა და გურიაში ვახტანგ VI-ის სამართლის მოქმედება 1859 წელს შეწყდა. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არსებობდა სამეგრელოს სამთავრო, რის გამოც იქ ქართული სამართლის მოქმედება არ შეჩერებულა, შესაბამისად, არ შემოუღიათ რუსული სამართალი. 1869 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა სამეგრელოში ვახტანგ VI-ის სამართლის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა აღძრა. მეფისნაცვალმა ასევე იშუამდგომლა, რათა სამეგრელოზე რუსული კანონმდებლობის მოქმედება გავრცელებულიყო. ორივე შუამდგომლობა 1870 წლის 23 ნოემბერს დაკმაყოფილდა.

1873 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა 1867 წლის 9 დეკემბრის კანონის ამოქმედების მიზნით, კერძოდ, მეფისნაცვლის მთავარმმართველობის შტატების საბოლოოდ განსაზღვრისათვის სახელმწიფო საბჭოში კანონპროექტები წარადგინა. სახელმწიფო საბჭომ კანონპროექტები 1874 წლის 3 ნოემბერს დამტკიცა. ახალი კანონით, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის, გუბერნიების და მაზრების სამოქალაქო მმართველობის შესანახი ხარჯები, შემცირების ნაცვლად, მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1867 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის შენახვა 390.314 მანეთი დაჯდა, 1874 წელს – 456.302 მანეთი; 1867 წელს გუბერნიების, მაზრების, საქალაქო პოლიციის, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსა და სამედიცინო ნაწილის შესანახად 766.133 მანეთი დახარჯა, 1874 წელს –959.747 მანეთი.

5.საქალაქო დებულება.1874 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხაილ რომანოვმა კავკასიის კომიტეტის წინაშე ამიერკავკასიაში 1870 წლის 16 ივნისის საქალაქო დებულების ამოქმედების თაობაზე იშუამდგომლა. კავკასიის კომიტეტმა შუამდგომლობას მხარი დაუჭირა და საკითხი სრულიად გადასაწყვეტად რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში შეიტანა, სადაც იგი 1874 წელსვე დადებითად გადაწყდა. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას 1874 წლის 28 ოქტომბერს ალექსანდრ II-ის ბრძანებით, კანონის ძალა მიეცა.

კავკასიის მეფისნაცვალს ევალებოდა, 1870 წლის 16 ივნისის დებულება ისე ამოქმედებინა, როგორც ამას ამიერკავკასიის პირობები მოითხოვდა, კერძოდ: 1. საგანგებო განკარგულებამდე თბილისში არსებული სამშენებლო კომისია თბილისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილების განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო; 2. იმ ქალაქებში, სადაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ არსებობდა, უნდა შექმნილიყო გუბერნატორის მიერ შერჩეული 6-12-კაციანი საგანგებო კომისიები მეფისნაცვლის მიერ დანიშნული მოხელის თავმჯდომარეობით; 3.საგანგებო კომისიებს დროებით უნდა შეესრულებინათ ქალაქის სათათბიროსა და გამგეობის ფუნქცია; 4. არჩევნებში მონაწილე მოსახლეობის კურიებად(თანრიგებად) დაყოფა საგანგებო კომისიის ფუნქციას არ შადგენდა, იგი გუბერნატორს ჰქონდა დავალებული; 5.საგანგებო კომისიას 4 წლის განმავლობაში ქალაქის თავის ფუნქციაც უნდა შეესრულებინა, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ქალაქის თავს ქალაქის სათათბირო აირჩევდა; 6. მეფისნაცვალს უნდა განესაზღვრა, 1870 წლის 16 ივნისის საქალაქო დებულებიდან რომელი მუხლები უნდა ამოქმედებულიყო დაუყოვნებლივ და რომელი – მომავალში.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(,,საქართველოს ახალი ისტორია 1801-1918“ გვ. 144-148)

რეპორტაჟი გომისმთიდან

„მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ზამთრის კურორტზე ვიმყოფებით“

ალიონი. კურორტ გომისმთაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 2200 მეტრზე ოზურგეთელი ინჟინერი მერაბ სანიკიძე იმყოფებოდა. ამ თემაზე მის მიერ მოწოდებული ფოტოები და გაზეთ „ალიონის“ ფეისბუქგვერდზე (გაზეთი ალიონი) გამოქვეყნებულმა მასალა მოკლე დროში 12 000-მდე მკითხველმა ნახა და 80-ზე მეტი გაზიარება ჰქონდა. ანალოგიურად–პოპულარული იყო გაზეთის ვებ.გვერდზე ALION.GE ეს თემა.

მერაბ სანიკიძე ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც კურორტ გომისმთის ზამთრის პოტენციალის, ტურიზმის განვითარებაზ ეფიქრობს და რამდენჯერმე აქ ზამთარში სნოუბორდისტებს უმასპინძლა.

–6 თებერვალს ავედით კურორტზე. 2 დღე ძლიერი თოვა იყო. ახლა აქ 3 მეტრი თოვლია. დღისით -2 გრადუსი ყინვაა, ხოლო ღამით -14გრადუსი. მარტამდე აქ ვეღარ ამოვლენ. კურორტის ცენტრში გვინდა ასვლა და ბილიკს ვაკეთებთ. 200 მეტრი გავიარეთ ჯერ. ამ ტემპით, კურორტის ყველაზე მაღალ ადგილას, ჯვართან ასვლამდე დიდი დრო დავჭირდება – ღამით ისეთი ყინვაა, მოძრაობა შეუძლებელია. ვგეგმავთ, ხვალ, დღის 12 საათისთვის ვიყოთ ჯვართან. თუ ვერ შევძელით, უკან მივბრუნდებით და ჩვენი დასვენება 5 დღით გაგრძელდება. ოთხშაბათს გრიგალს ველოდებით. სახლში შეშის და საკვების ერთი თვის მარაგი გვაქვს, ასევე ელექტროგენერატორი, ტელევიზორი და ინტერნეტი. ასე, რომ, მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ზამთრის კურორტზე ვიმყოფებით. მე, ზაზა ურუშაძე და რამაზ ხვინგია–შეგვატყობინა მერაბ სანიკიძემ 10 თებერვალს.

მომდევნო დღეს კი გვაცნობა, რომ ისინი დღის 3 საათისთვის ავიდნენ კურორტის ყველაზე მაღალ წერტილში –ჯვარზე, (სადაც ამჟამად წმინდა იოანე თეზბიტელის სახელობის ტაძარი შენდება.) და უკან ბინაში დაბრუნდნენ.

მომდევნო დღეს მერაბ სანიკიძის ჯგუფი ბარში დაეშვა.

–ქარბუქს ველოდით და დილით 8 საათსა და 45 წუთზე გამოვედით. თოვლი ნაწილობრივ იყო დამჯდარი და თხილამურებით ვიარეთ. დაშვება უფრო საინტერესო გამოდგა.ისტორიულ საჩალავდრო გზას გამოვყევით და 4 კილომეტრით მოვჭერით მანძილი. ავტომანქანამდე 17 კილომეტრის გავლა მოგვიწია.იქ, ასევე გომისმთაზე შეყვარებული კაცი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ლევან კილაძე გველოდა „ჯიპით.“

რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის წევრებს: ზაზა ურუშაძე კარგი მონადირე და მშენებელია, შემოქმედში (გონებისკარი) ცხოვრობს; რამაზ ხვინგია –ლაშქრობის და გომისმთის მოყვარული – დროებითი სამუშაოებით ირჩენს თავს.

კარგი ერთკვირიანი დასვენება გამოგვივიდა – გვითხრა 12 თებერვალს მერაბ სანიკიძემ.

2 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო ოზურგეთელ მძლეოსანთა მონაპოვარი!

8 - 9 თებერვალს თბილისში, იოსელიანის სახელობის მძლეო-სნობის სასახლემ დიდებში ზამთრის ღია ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა.

ჩემპიონატში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ- გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მძლეოსანთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

ოზურგეთელებმა შეჯიბრში წარმატებით იასპარეზეს და 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მოპოვება შესძლეს.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული და სპორტის ოსტატის წოდება, ბირთვის კვრაში (4 კგ.) **სოფო შათირიშვილმა** მოიპოვა. (მწვრთნელები : დავით მანთიძე, მარინა კოტრიკაძე)

ასევე, პირველ ადგილსა და ოქროს მედალს 60 მ/თ დაეუფლა **მიშიკო მახარაძე.** (მწვრთნელი მარინა კოტრიკაძე)

რაც შეეხება მეორე საპრიზო ადგილსა და ვერცხლის მედალს ის უროს სტყორცნაში **გოგა ჭიხვარიამ** და სამხტომში - **გიორგი დეკანოიძემ** აიღეს. (მწვრთნელი მარინა კოტრიკაძე)

ასევე, გიორგი დეკანოიძემ მოახერხა და სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილი და ბრინჯაო აიღო.

სპექტაკლი „კოცნა“ თეატრმცოდნეების წინაშე წარსდგა

ჩოხატაურის კულტურის სასახლის დარბაზში სპექტაკლი „კოცნა“ თეატრთმცოდნეების წინაშე წარსდგა.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ფეისბუქგვერდის ინფორმაციით ამ სპექტაკლმა ოზურგეთის თეატრს ბევრი წარმატება მოუტანა, ევროპისა და აზიის ქვეყნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების პრიზებიც მოწყვიტა და იმედია, ამ წარმატებულ გზას კიდევ ერთი საამაყო ფურცელი შეემატება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი 0 +6	მზე, ღრუბელი +2 +9	მზე, ღრუბელი +1 +10	მზე, ღრუბელი 0 +8	მზე, ღრუბელი +3 +12	ღრუბელი- +2+11	წვიმა +1+9
17 თებერვალი ორშაბათი	18 თებერვალი სამშაბათი	19 თებერვალი ოთხშაბათი	20 თებერვალი ხუთშაბათი	21 თებერვალი პარასკევი	22 თებერვალი შაბათი	23 თებერვალი კვირა